№ 8

23 თებერვალი 1914 წ.

მიიღება ხელის მოწერა

წლიური ფასი

3 მან.

ყოველ. ქვირეული საზოგადო-ეკონო

ფიური და სალიტერატურო ჟურნალი

ცალკე ნომერი 5 კაპ.

რედაქცია ღიაა 9—3 საათ.

წელიწადი მესამე

მისამართი: თბილისი, Габаевскій пер. № 3 რედაქცია „კლდე". დეპეშისა: თბილისი კლდე.

ს ა რ ჩ ე ვ ი: 1. იდეალი თუ ზოლიტიკა. — ა—ისა. 2. სომეხ-ქართველთა ურთიერთობა. — ს. დადიანისა. 3. მიწის საკითხი. — ტყვიასი. 4. ხიზანთა საკითხი. 5. მტირე განმარტება. 6. არ გვინდა ქართული ენა. — თრითინასი. 7. ვერონელი ქალი (მოთხრობა) თარგმ. — ალ. სარაჯიშვილისა. 8. უკანასკნელი ამბები.

მიიღება ხელის მოწერა 1914 წ.

ყოველ ქვირეულ საზოგადო-ეკონომიურ

და სალიტერატურო ჟურნალ **„კლდე"-ზედ.**

ფ ა ს ი:	1 წლით.	3 მან.
	6 თვით	2 მან.
	3 თვით	1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან 5 კაპ.

იდეალი თუ პოლიტიკა?

ჩვენ გვაწერენ ისეთ აზრებს, რომელსაც ჩვენ შემეცნებაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს. „სახალხო გაზეთი“ მესამედ იმეორებს იმ აზრს, ვითომც „კლდეს“ ჰგონია, რომ ბურჟუაზიული იდეალი ერის იდეალად უნდა იქცეს. ჩვენ ასეთი აზრი არასოდეს არ გამოგვითქვამს, რადგანაც არსებითად ამისთანა რამ გაუგებრობად მიგვაჩნია. „სახალხო გაზეთი“ მხოლოდ გრძნობს ამ გაუგებრობას, მაგრამ ვერა ხსნის, ამიტომ ჩვენი ვალია, ერთხელ და სამუდამოდ რომ თავიდან ავიცდინოთ ეს ბრალდება, უფრო მეტი ვსთქვათ იმაზედ, რასაც „სახალხო გაზეთი“ სწერს ერის იდეალებზედ.

ერის იდეალებზედ ლაპარაკი საზოგადოთ გაუგებრობაა. იდეალი ერთგვარი სავალდებულო და გარკვეული შეგნებაა. ვისაც იდეალი აქვს—იმას მოქმედების გეგმაცა აქვს. შეიძლება განა ითქვას, რომ ერს, როგორც მრავალფეროვან ელემენტთა რთულ კრებულს, რამე იდეალი აქვს? შესაძლებელია განა ითქვას, რომ ესა და ეს ერი ამა და ამ იდეალისაკენ ისწრაფვის? თამამად შეიძლება ითქვას რომ არა! ერი, როგორც რთული სოციალური ორგანიზმი მარტო სოციალურ დინამიკას ემორჩილება. მას ერთად-ერთი ნიჭი აქვს, ნიჭი განვითარებისა. საითკენ მიდის ეს განვითარება? მხოლოდ წინ! და ეს „წინ“ იდეალი არ არის, ესე იგი გამორკვეული რამ. ერს, როგორც რთულ სოციალურ ორგანიზმს, რომელიც მუდამ განვითარების პროცესში იმყოფება, იდეალი რომ ჰქონდეს, მაშინ წინა საუკუნოებს უნდა სცოდნოდათ, რა მოხდებოდა შემდეგ საუკუნოებში. მაგრამ ეს ასე არ არის. ახალ ვითარებას ჩვენ მხოლოდ მაშინ ვეცნობით, როცა იგი წარმოიშვება ხოლმე—მანამდისინ კი იგი ჩვენთვის უცნობია. მაშ როგორ ხდება საზოგადოებრივი განვითარება თუ მისი განვითარება უიდეალოა—გვეტყვიან ჩვენ? ასეთი დასკვნა შეცდომა იქნებოდა. ჩვენ ვლაპარაკობთ არა იმ ზედმოქმედებაზედ საზოგადოთ იდეალებსა და ერს შორის, რომელიც მართლა არსებობს, არამედ იმ წინად განზრახულ და აბსოლუტურ იდეალზედ, რომელსაც უდებენ საფუძვლად ერის განვითარებას ზოგიერთები. ერის იდეალზედ ლაპარაკი იმიტომ ვერ უძლებს კრიტიკას, რომ იდეალი—როგორც ჭეშმარიტება ერს ერთი უნდა ჰქონდეს. ნამდვილად კი სხვა და სხვა ინდივიდებს და სხვა და სხვა კლასებს, რომლებიც შეადგენენ ერს, სხვა და სხვა იდეალები აქვთ. ეს იდეალები პირიქით, ერთმანეთს ებრძვიან და თუ ვერა სპობენ ერთმანეთს, მხოლოდ იმიტომ, რომ ამ ბრძოლაში იდეალები იმ ლურსმნებს გვანან, რომლებიც მით უფრო ღრმად ერჭობიან, რამდენიც უფრო მეტს ურტყამენ მათ. ამით აიხსნება სხვათაშორის ბატონობა ერთსა და იმავე დროს ძველის და ახალის შეგნებისა.

მაშ რაზედ ვლაპარაკობთ ჩვენ, ან, რაც უფრო უკეთესია, რა აქვს ერს, თუ მას იდეალი არა აქვს? საქმეც ეს არის! ერს პოლიტიკა აქვს. თანამედროვე ერთა ვითარება ისეთია, რომ მათი პოლიტიკა ბურჟუაზიულია და ეს ბურჟუაზიული პოლიტიკა იმავ დროს ეროვნულია. ამიტომაც ჩვენ ვლაპარაკობთ ბურჟუაზიულ პოლიტიკაზედ და არა ბურჟუაზიულ იდეალზედ. მაგრამ როგორ ხდება, რომ იმ დროს როცა ერთი ეროვნული იდეალი არ არსებობს, ერთი ეროვნული პოლიტიკა არსებობს?! აქ გასაოცარი არაფერია. ყოველთვის და ყველგან პოლიტიკა გაბატონებულ კლასის ხელშია, და სწორედ ეს გაბატონებული კლასის პოლიტიკაა იმის მაჩვენებელი, რომ ერის ცხოვრებაში არსებობს მხოლოდ მეუფება ინტერესებისა და არა იდეალი. ბურჟუაზიის პოლიტიკა იმიტომ არის იმავ დროს ეროვნული პოლიტიკაც, რომ ამ პოლიტიკას ბურჟუაზია ყველასთვის სავალდებულოდ ხდის. იგია ფაქტიური ბატონ-პატრონი მდგომარეობისა, იგი სწერს კანონებს, მას აქვს ძალა დაიცვას ეს მდგომარეობა და ამას შედეგად ის მოსდევს, რომ რაც უნდა არ ეთანხმებოდნენ ამ პოლიტიკას სხვა და სხვა ინდივიდები, სხვა და სხვა კლასები—ასრულებით მაინც ასრულებენ, წინაალმდეგ შემთხვევაში საქმე რევოლიუციასთან გვაქვს, როცა არავითარი პოლიტიკა ესე იგი ბატონობა განსაზღვრულ კლასისა არ არსებობს.

როგორია ახლა ვითარება საქართველოსი? როგორია მისი პოლიტიკა, ვის ეკუთვნის გეგემონია? „წმინდაა და მტკიცე ის დროშა, რომელიც ჩვენ ავიღეთ ხელში და რომელიც მხოლოდ ერთი გაუძღვება ქართველ ხალხს აღორძინებისა და განახლებისაკენ“, ამბობს „სახალხო გაზეთი“. რანაირია ეს დროშა? სოციალისტური! რანაირია ქართველი ხალხი—ყოველწოდებრივი, და იმ დროს, როცა საქართველოს გლეხობა პირველად ეკიდება

კერძო საკუთრებას, როცა მისი ახალგაზრდა ბურჟუაზია პირველად იჩენს თავს, და, როცა თვით თავად-აზნაურობაც იძულებულია უარჰყოს არსებული წესები და ახალს დონეზედ წარმართოს, თანამედროვე ვითარებას შეუფარდოს თავ-სი ვითარება, ერთის სიტყვით, როცა მთელი ახალგაზრდა ბურჟუაზიული საქართველო პირველად განიცდის თავის „მაჭრობის თვეს“, ამ დროს გამოდის „სახალხო გაზეთი“ და მთელ ასეთ საქართველოს, ასეთ ქართველ ხალხს თავის სოციალისტურ კალთას აფარებს, მე წავიყვან ასეთ საქართველოს განათლებასა და აღორძინებისაკენო. განა ასეთია ფედერალისტების პროგრამა, განა ასეთია სოციალიზმი?!

ძალიან კარგი თუ ასეთია! ჩვენც ასეთ პროგრამას ვეძებთ, მაგრამ დაიცავით მაშინ კერძო საკუთრება ამ გლეხებისა, უხელმძღვანელეთ ქართველ ახალგაზრდა ბურჟუაზიას, ეცადეთ გადმოხაროთ არხაიული თავად-აზნაურობა ახალის ვითარებისაკენ, გახსენით ბანკები, სავაჭროები, დააარსეთ გლეხთა კავშირები, ბურჟუაზიული დაწესებულებანი და დაიცავით მათი ინტერესები, რადგანაც ეროვნული პოლიტიკა მარტო ეროვნულ უფლების დაცვა არ არის. ეროვნული პოლიტიკა ძალიან ხშირად იმ კლასის ინტერესების დაცვაა, რომელსაც ეკუთვნის ფაქტიურად საქართველო, თავის მიწა-წყლით, თავის ვაჭრობით, თავის წარმოებით. და ეს უნდა ჩაიდინოთ იმიტომ, რომ არ შეიძლება დაიცვათ ცარიელი საქართველო და არ დაიცვათ თვით ქართველები, არ დაიცვათ ის ინტერესები, რომელიც აქვთ ამ ქართველებს.

მაგრამ საქმეც ის არის რომ ამ-ს ჩადენა ამ ჯგუფს არ შეუძლიან, არ შეუძლიან პროგრამულად მაინც, რადგანაც ეს პროგრამა სოციალისტურია. სოციალიზმი კი მოითხოვს ქართველ ახალგაზრდა ბურჟუაზიის წიაღშივე დარბევას, გლეხთა კომმუნალურ მიწად-მფლობელობას და არა კერძო საკუთრებას, პროფესიონალურ ორგანიზაციების დაარსებას და არა ბანკებისა, პარტიულ საწვრიმალო დუქნების გახსნას და არა დიდ სავაჭრო სახლებს. შეუძლიან ასეთ პროგრამას ქართველი ხალხი განახლებისა და აღორძინებისაკენ წაიყვანოს? ჩვენ განვიცდით ყველაზედ უდიდეს, ყველაზედ საინტერესო ხანას, რომელიც კი ჰქონია საქართველოს მრავალ ხნის წარსულში. ეს არის ხანა საწარმოვო ძალთა და ტეხნიკის განვითარებისა, ეს არის ხანა სიმდიდრის დაგროვებისა, ურომლისოდ კულტურას არავითარი წონა არა აქვს, ასეთ ხანას ქართველობა შეხვდა დასვენებულის ძალით, ისტორიულად შემუშავებულ უნარით, ქარსა და ცეცხლში გამოვლილი. ყველა ეს იმის მაჩვენებელია, რომ გამარჯვება მისი უზრუნველყოფილია, იგი შეჰქმნის თავის მომავალს. საჭიროა მხოლოდ მისი ნორმალური პირობები. ჩვენ არა ვქმნით ამ პირობებს, თვით ცხოვრება ჰქმნის მას, მაგრამ ჩვენი მოვალეობაა ვსთქვათ ერთი სიტყვა: სოციალიზმი კი არ წაიყვანს მას ამ გზით, მას წაიყვანს ბურჟუაზია.

და ეს იქნება არა ბურჟუაზიული იდეალი, არამედ ბურჟუაზიული პოლიტიკა საქართველოსი.

ა—ი.

სომეს-ქართველთა ურთიერთობა *)

ბურჟუაზია თავისი დანიშნულებით, თავისი საბოლოო იდეალებით არ არის მოწოდებული ეროვნული იდეალის მატარებლად. ბურჟუაზია, როგორც ასეთი, მხოლოდ იმდენადაა ეროვნული, ეროვნული ინტერესები მას, როგორც კლასს, მხოლოდ იმდენად იზიდავს, რამდენადაც, ეს ერი მის ინტერესებისათვის გამოდგება, მაგრამ არის ხოლმე ისეთი მომენტები, როდესაც იგი დაინტერესებულია თავისი ერის ღონეში, კეთილდღეობაში. ეს უმეტეს ნაწილად მაშინ ხდება, როდესაც ბურჟუაზია ჯერ კიდევ ახალგაზდაა, როდესაც მას არ ძალუძს მარტომ გააფართოვოს თავ-სი მოქმედების ფარგალი, როდესაც მისი ნაბიჯები ჯერ კიდევ გაუბედავია და სანადიროდ გასვლას შორს ვერა ჰბედავს; იგი უფრო შინაობაში, შინაურ ბაზარზე ასაღებს თავის ნაწარმოებს, აქ გამოდის სამოქმედოთ.

სომხის ბურჟუაზია, თუმცა იგი ქართულ ბურჟუაზიაზე გაცილებით ძლიერია, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ მოასწავებს მისს ძლიერებას ობიექტიურად, იგი ჯერ კიდევ არ მისულა იმ წერტილამდე, როდესაც მისთვის სულერთი იქნება სად მოუხდება წარმოება, ვის ერს გაფცქვნის. იგი ჯერ კიდევ დაინტერესებულია, (და მით უფრო დაინტერესებულია, რამდენადაც ქართველი ერი ეჩვევა თავისი ინტერესების შეგნებას და დაც-

*) იხ. „კლდე“ № 7.

ვას). რომ მისი პოზიცია ყოველმხრით გამაგრებული იყოს; იგი დაინტერესებულია თავის კაპიტალის დასაყრდნობად მშობლიური ნიადაგი ჰქონდეს; იგი დაინტერესებულია თავისი მმოძრავი კაპიტალი, ერთი მხრით, დედამიწაზედაც მტკიცედ ეყრდნობოდეს, იგი **დაინტერესებულია, ასე თუ ისე, არსებობდეს განსაზღვრული ტერიტორია, მისი ერით დასახლებული, რომ ჰყავდეს განსაზღვრული მომხმარებელი ელემენტი, და აი აქ ერთდება სომხის ბურჟუაზიისა და სომხის დემოკრატიის, გლეხობის გზები. სომხის გლეხობას, მიწად მოქმედ კლასს, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე მოდის ასე შეუჩერებლივ, ესაჭიროება მიწა, მეორე მხრით, როგორც დავინახეთ, ბურჟუაზიაც დაინტერესებულია ტერიტორიის შეძენაში და, მაშასადამე იგი ამ მხრით ნაციონალურ ინტერესებს ემსახურება, როდესაც ასე დაჟინებით იძენს ჩვენს მიწებს.** *)

როდესაც რომელიმე ერი ითქვიფება სხვა ერში, ჰკარგავს თავის სახეს, ეს შეიძლება მოხდეს ან მისი კულტურული სისუსტით მეორესთან შედარებით, ან მცირედი რიცხვით, რომ მტერის სიმრავლეში ჩაიხრჩოს, და ან ერთმა ერმა მეორე �ცეცხლითა და მახვილით გაანადგუროს. ახლობელ პერსპექტივაში არა სჩანს თოფ-იარაღით ჩვენს წინააღმდეგ მტერი და ამ მხრით საფრთხე არ მოგველის, მაგრამ ჩვენ რიცხვით იმდენად ულმნიშვნელონი ვართ, რომ თუ მეზობელ მეტოქე ერთა კულტურულ ძალას ჩვენი კულტურული ძალა არ ამოუყენეთ და ბრძოლის ველზე იმავე კულტურული იარაღით აღჭურვილნი არ გამოვედით, ჩვენი ეროვნული საქმე უკუღმა დაიწყებს სვლას.

როგორც ზემოთაც მოვიხსენიეთ, სომხობა არ გაითქვიფა ქართველობაში, რადგანაც იგი საკმაოდ კულტუროსანი ერია, რომ თავისი სახე შეირჩინოს და თავისი ერი თანდათან გააძლიეროს, მაგრამ კულტურას და ისიც უცხო ნიადაგზე, არა თუ ვერ შექმნის, ვერც შეინახავს არსებულსაც მცირე რიცხვოვანი ჯგუფი, მაგალითად, სომხის ბურჟუაზია და აუცილებლად საჭიროა მათთვის გამრავლება. თუ ფიზიოლოგიური გამრავლება ერთიანად არ არის მათ ხელში, პოლიტიკური ზომები ხომ მათ ხელშია და ეკონომიური ძალაც მოეძევათ და აი კიდევაც, დღითი დღე იზრდება ქართულ ტერიტორიაზე სომეხთა ახალშენები. სომხის ბურჟუაზია, რომ ამ საქმეს მარტოდ-მარტო აწარმოებდეს, მარტო სომხის ბურჟუაზია რომ იყოს დაინტერესებული ნაციონალურ ტერიტორიის შეძენაში, ეს პოლიტიკა სომხის გლეხობისთვისაც რომ არ იყოს სასარგებლო და მაშასადამე სასურველი, რომ მასაც არ უნდოდეს მიწა, მაშინ მანთაშოვების პოლიტიკა, მათი მიწის მფლობელობა სრულიადაც არ იქნებოდა ქართველებისათვის ასე სახიფათო. მართლადაც, მანთაშოვები თავიანთ მიწებს ჯიბეში ხომ არ ჩაიდებენ, ან ოსმალეთში ხომ ვერ გაგზავნიან?! ბურჟუაზიას არ უყვარს „მკვდარი კაპიტალი", იგი ამ მიწას უთუოდ დაამუშავებდა; რომ დანახარჯი აენაზღაურებია, იძულებული იქნებოდა ინტენსიური მეურნეობა ეწარმოებინა და ქართულ ტერიტორიაზე სომხის და თუნდ სხვა ერის (სოფლის) მუშა რომ არ ყოფილიყო, ისევ ეს ქართველი გლეხი მოიკალათებდა ამ მიწაზე, ან როგორც მოიჯარადრე, ან როგორც სოფლის მუშა და **ისარგებლებდა იმდენად რამდენადაც შეუძლიან ისარგებლოს მიწის მუშამ ამ კაპიტალისტურ წესწყობილებაში, კერძო საკუთრების სამეფოში,** როდესაც თითონ მოკლებულია ამ საკუთრებას. მაშინ კიდევ ბრძოლა მხოლოდ ერთ ფრონტზე იქნებოდა ე. ი. **ორი კლასი დაუპირდაპირდებოდა ერთმანეთს:** ბურჟუაზია, ან ლატიფუნდიების პატრონნი ერთი მხრით და მუშა, მშრომელი ხალხი მეორეს მხრით, **მაგრამ ახლა ამ განწყობილებას ეროვნული ელფერიც ეძლევად ა ორი ერის დემოკრატია, გლეხობა, მიწის მომუშავენი დგანან მოწინააღმეგე ბანაკებში.**

ადამიანთა საზოგადოებაში ბრძოლა არსებობისათვის არ სწარმოებს ისეთივე თავდაუჭერელი და შეუმცნებელ - აუცილებელი თავგანწირვით, რიგორც სხვა ცხოველთა საზოგადოებაში. მართალია, ეს ბრძოლა აქაც არსებობს, მაგრამ მას ასუსტებს

*) ბურჟუაზია ხშირად, ადმართავს ხოლმე დროშას და საზოგადოებრივ „ეროვნულ ინტერესებს" დაწერს, მაგრამ ჯერ კიდევ მე-70-ე წლებში მიხაილოვსკის შეურეველ სოციოლოგიურ კანონად მიაჩნდა, რომ ვინც ემსახურება „**საერთოდ**" ეროვნულ, ნაციონალურ ინტერესებს, იგი ემსახურება ეროვნულ ბერძენიის ზედა ნაწილს ერის უმრავლესობის წინააღმდეგ და მხოლოდ ის ერის ნამდვილი ეროვნული ინტერესების დამცველი, რომელიც „ერის მშრომელი ხალხის" ინტერესებს ემსახურებაო. ეს ხომ ასეა და ჩვენ კიდევ ვამბობთ, რომ „სომხის გლეხობისა და სომხის ბურჟუაზიის" ინტერესები **ამ განსაზღვრულ მომენტში შემთხვევით ერთდება.**

ს. დ.

და ეთიკის სხივებით აფერადებს ადამიანში ჩანერგილი გრძნობა სოლიდარობისა, რომელიც თანაგრძნობის სარგებლობის (сочувственный опытъ) შეგნებით გამტკიცებულია. თუ საზოგადოებრივი განვითარებაში, თუ ინდივიდი საზოგადოებაში იძულებულია აუცილებელ, გარდუვალ. კანონთა გრეხილს დაექვემდებაროს, თუ ადამიანმა, ინდივიდმა იცის რას ნიშნავს „რეალური შემიძლიან“, მან აგრედვე იცის, როგორც მოაზროვნე პიროვნებამ, როგორც ეთიკურმა ღირებულებამ, თუ ითქმის აგრე, თავისი „რევოლიუციონური შინდაც“. იგი თავისი ადამიანური სურვილებით იჭრება ამ „გარდუვალ“ კანონთა მსვლელობაში და სცდილობს ისე მიმართოს, როგორც მასა ჰსურს. თუ არსებობს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ყოველ არსთა შორის, სადაც ერთმანეთს არა ზოგავენ, ადამიანი აცხადებს: არა, არა მსურს ჩემი მსგავსის, ჩემი თანტოლი ადამიანის სისხლი ვღვარო და მის უბედურებაზე ჩემი ბედნიერება აღვაშენო. არა, მეგობარო, მომეცი ხელი და ერთად ვიმოქმედოთო და სხ. და სხ. ეს არის საიდეალო წეს-წყობილება, ეს არის ადამიანის საოცნებო დრო, როდესაც ადამიანთა საზოგადოებაში, თუ სრულიად არ შესცვლის, ცოტათი მაინც შეამსუბუქებს იდეა სოლიდარობისა ცხოვრების ბრძოლაში შეუბრალებლობას. რაც დრო გავა და ადამიანი განვითარდება, რაც კაცობრიობა უფრო და უფრო დაუახლოვდება ერთა შორის სოლიდარობას, მით უფრო დაჰკარგავს კაცთა-შორის და ერთა შორის ბრძოლა სიმწვავეს, მაგრამ ჯერ-ჯერობით, როდესაც ეს საერთაშორისო ძმობა და სოლიდარობა მხოლოდ შორეული სასურველი იდეალია, სხვა და სხვა ერი სახელმწიფოს, თუ უფრო ვიწრო პოლიტიკური ერთეულის სახით ერთმანეთს ებრძვის და ამ ბრძოლაში ხშირად ილახება თვით სამართლიანობაც. ლოზუნგი საზოგადოებრივობისა, რასაკვირველია, ეს არის: „ყველა ერთისათვის—ერთი ყველასათვის“-ო, მაგრამ ჯერ-ჯერობით კიდევ იმ საფეხურზე ვართ, როდესაც საკუთარი **არსებობა**, საკუთარი ერი, საკუთარი სიცოცხლე დგას პირველ ადგილზე. შეიძლება პიროვნებისათვის გმირობაც იყოს სხვას შეეწიროს და „საერთოს“ სამსხვერპლოზე დაიწვას, მაგრამ მთელს ერს ამ გმირობას ვერ მოვთხოვთ. როგორც არსებობს უკიდურესი ინდივიდუალიზმი პიროვნების შესახებ, აგრედვე არსებობს, ასე ვსთქვათ, ეროვნული ინდივიდუალიზმიც, ერი თვით—მიზანია და ვერავის ვერ შეეწირება, იგი შეუძლებელია „საშუალება“ გახდეს, რომელიმე უფრო დიდ ღირებულებისათვის, რადგანაც ერი ერისათვის თვით არის უდიდესი ღირებულობა.

ახლა, ამ რამოდენიმე საზოგადო მოსაზრებათა შემდეგ ვნახოთ, რამდენად შესაძლებელია ქართველი ერისა და მის მეზობლების ურთიერთობაში ადგილი ჰქონდეს ერთა შორის სოლიდარობის იდეას. რა ინტერესთა წინააღმდეგობა არსებობს ამ ერთა შორის და რამდენად შეუძლიანთ ერთმანეთს დაუთმონ.

ზემოთ ჩვენ დავინახეთ რა პოლიტიკას ადგას სომხის ბურჟუაზია და რამდენად სასურველია ეს პოლიტიკა (ეს ახალშენთა პოლიტიკა) სომხის დემოკრატიისათვის. მართალია, ბურჟუაზია ამას უანგაროდ არ სჩადის და მხოლოდღა ეროვნული ინტერესებისათვის არ იღწვის, იგი იმდენადა სდგას ეროვნულ ნიადაგზე, რამდენადაც შემდეგ ეს „თავისი დემოკრატია“ საწუწნელად გამოადგება, მაგრამ ეს ჩვენ არ შეგვეხება. ჩვენ ამ ჟამად თვით სინამდვილე გვაინტერესებს და არა ის, თუ რამდენად სასარგებლოა სომხის ერისათვის ეს პოლიტიკა. ჩვენი აზრით, თუ ჩვენი რჩევა უნდათ, ფუჭია სომხობის ცდაა კავკასიაში სომხეთის ეროვნული ტერიტორიის შექმნის და მისი შენარჩუნებისა, რადგანაც ის აქლემი, რომელიც ახლა ქართველი ერის წინ არის დაჩოქილი, იმათ წინაც დაიჩოქებს, როდესაც კურსი გამოიცვლება, მაგრამ ეს სხვა საკითხია, ეს სომხების შეგნებას და შეუგნებლობას შეეხება. ჩვენ ვურჩევდით სომხობას ეს სასიქადულო ენერგია, ეს ახალშენთა პოლიტიკა, სადმე სხვაგან ეწარმოებიათ, სადაც ისინი მკვიდრად არიან, მაგრამ ეს არა მკითხეს რჩევაა. უთუოდ იმათ უკეთ იციან, სად რა პოლიტიკა სჯობია, რახან აგრე სცდილობენ. სინამდვილე კი ის არის, რომ ქართველი შეუგნებელი თავადაზნაურობა უსირცხვილოდ ჰყიდის მამა-პაპათა სისხლით გაპოხიერებულს მიწას, სომხობა (დიაღ, სომხის ბურჟუაზია—სომხის გლეხობისათვის) კი მას გაჩქარებული ჰყიდულობს და ქართველი გლეხი კი ბოგანოვდება, და როდესაც შეგნებული ქართველი, **ან მთელი ჯგუფი ან თუნდა რომელიმე პოლიტიკური პარტია წინააღუდგება ამ პროცესს (ტერიტორიის ყიდვა-გაყიდვას) იგი ძალაუნებურად ერთი მხრით ქართულ ეროვნულ ინტერესებს ემსახურება და მეორე მხრით კიდევ სომხის ბურჟუაზიის წინააღმდეგ იბრძვის.** სომხის ბურჟუაზიის აღნიშნული პოლიტიკა სომხის ეროვნული ინტერესების სამსახურია ა მ ჟ ა მ ა დ

და სომხის დემოკრატიაც, თუ იგი ამავე დროს ეროვნულ ნიადაგზე სდგას, ამ პოლიტიკის მომხრეა ⁄ მაშასადამე, ის ქართველი, რომელიც სომხის ბურჟუაზიის წინააღმდეგ იბრძვის, ამ გზაზე უთუოდ სომხის დემოკრატსაც შეხვდება. ამ დასკვნამდი მიგვიყვანს ლოგიკური მსჯელობა.

ამ ჟამად როგორც ჩვენს დემოკრატიულ ინტელიგენციაში, აგრედვე სომხებისაში დიდ პატივშია იდეა სოლიდარობისა, შეთანხმებისა და ორივე მხარეს სწამს ხშირად გულწრფელად ამის შესაძლებლობა როდესაც ქართული დემოკრატია სომხის ბურჟუაზიის მხრით ერთობ ეგოისტურ მოქმედებას დაინახავს, ამის ბრალს მხოლოდ ამ „ბურჟუაზიას“, „სოლოლაკელებს“ მიაწერს და სომხის დემოკრატიაც ეთანხმება და გულისწყრომით იხსენიებს ბურჟუაზიას. ვინც კვალ და კვალ მისდევდა ჩვენს მსჯელობას, უნდა დაგვეთანხმოს, რომ ორივე ერის დემოკრატია, ან გულუბრყვილოდ ტყუვდება და ან თვალთმაქცობს. ვნახოთ!

რას ამბობენ ჩვენი სოციალისტური პარტიები? რაც შეეხება ს.-დემოკრ., ერთობ ცხადია და მარტივი მათი შეხედულება ამის შესახებ, როგორც საერთოდ მთელი მათი სოფლმხედველობა. როგორც თვით ეროვნული საკითხი მხოლოდ ბურჟუაზიის მიერ, კლასობრივ ბრძოლის დასაჩრდილავად მოგონილ საკითხად მიაჩნიათ, აგრედვე სოლიდარობისთვის ღაღადი ისევ ბურჟუაზიის ოინებად მიაჩნიათ და ყველა ერთა დემოკრატიას იგი სულ სხვა ნიადაგზე ჰპირდება შეკავშირებასა. როგორც პროლეტარიატის პარტია, როგორც კოსმოპოლიტურ იდეალების აღმსარებელი და ქომაგი „მთელი ქვეყნიერების პროლეტართა“ განუჩევლად რასისა, კუთხისა, მოდგმისა, იმისთვის სულერთია ვის ნიადაგზე, ვის პროლეტარიატს, რა ტომის მუშა ხალხს დაიცავს იგი. მისი იდეალია უნივერსალი სახელმწიფო, ერთი მთელი ერთეული—კაცობრიობა, რომელსაც არა ჰყოფს არც მოდგმა და არც გეოგრაფიული საზღვრები; რომელმაც არ იცის რაა „ჩემი სახელმწიფო“, „ჩემი ერი“, „ჩემი ტერიტორია“, არამედ ერთი უნივერსალი დემოკრატიული სახელმწიფო და მისი შემადგენელი ნაწილი, უნივერსალი მოქალაქე. მაშასადამე ს.-დემოკრატია ვერ იქნება დაინტერესებული იმაში, რომ ქართველ ერს შერჩეს საკუთარი ტერიტორია, რადგანაც მას არ აინტერესებს და საჭიროდაც არ მიაჩნია თვით ქართველი ერის არსებობაც კი. დღევანდელ სინამდვილეს იგი მომავალი შორეული იდეალის თვალით უყურებს და, სრულიად ლოგიკურად **შესაძლებლად და მაშასადამე ს.-სურველად** მიაჩნია ამ ორ ერთა დემოკრატიის სოლიდარობა. ს.-დემოკრატიული თვალსაზრისით არც არსებობს ზემოაღნიშნულ ინტერესთა კოლიზია-მისთვის სულ ერთია ამ განსაზღვრულ ტერიტორი, აზე ქართველი ხალხი იქნება თუ სომეხი, რადგანაც ბოლოს ისიც გაქრება და ისიც, როგორც ერი და ასე უსახოდ შევა უნივერსალურ შრომის სამეფოში. სრული ანალოგიაა ს.-დემოკრატიულ მსოფლმხედველობაში ამ საკითხზე და გლეხთა საკითხზე შემუშავებულ აზრებში; მისთვის თუ არსებობს გლეხთა ინტერესები, მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს გლეხი მომავალი პროლეტარია; და ერიც იმდენად, რამდენად სომეხი და ქართველი მომავალი უნივერსალი მოქალაქეა—უგვარო და უტომო. ს.-დემოკრატს არ აქვს ეროვნება (ქვევით დავინახავთ რომ ყოველივე ეს მხოლოდ ქართველ ს.-დემოკრატიაზე თუ ითქმის, რომელიც წარმოადგენს: plus roialiste que le roi lui même). ქართველი ს.-დემოკრატი ხომ ქართველი არ არის; ერთს მათს ლიდერს ჰკითხეს უცნობ საზოგადოებაში, რა ეროვნებისა ხართო და მან ამაყად უპასუხა ს.-დემოკრატი ვარო (si non e vero e ben trovato). შეიძლება მიპასუხოთ: ს.-დემოკრატია კლასებსაც დროებით რეალობადა სთვლის, ისიც მას გარდამავლად მიაჩნია, მაგრამ მაინც კლასობრივ ნიადაგზე სდგას და ერთი განსაზღვრული კლასის ინტერესებს იცავსო. მაგრამ საქმეც ის არის, რომ მას ეროვნებაც გარდამავალ ფაქტად მიაჩნია ⁄ კლასს იგი ექომაგება, როგორც ასეთს, იმიტომ რომ იგი საშუალებაა იმ უნივერსალ დემოკრატიულ სახელმწიფოს დასამკვიდრებლად, ამას კი ვერ შეასრულებენ ეროვნებანი. ვისაც ეროვნებაც ისეთ დროულ და გარდამავალ მოვლენად მიაჩნია, როგორც წოდებანი და კლასები, ვერც იზრუნებს მისი განმტკიცებისათვის. **თვით ძირითადი დებულებანი ს.-დემოკრატიული მოძღვრებისა, რომ არ მიგვაჩნდეს ჩვენ შემცდარად, შემდეგი მათი მსჯელობა სწორი ლოგიკური მსჯელობაა;** თუ მივიღეთ მისი ძირითადი დებულებანი, ჩვენ ლოგიკა გვაიძულებს სწორედ მათ დასკვნას დავეთანხმოთ.

სულ სხვა გვარია სოც.-ფედერალისტთა შეხედულება. სულ სხვა დასკვნამდე მივდივართ, თუ ს.-ფედერალისტთა მსოფლმხედველობას გავიზიარებთ. ს.-ფედერალიზმს სწამს, რომ ერი გადუვალი ფაქტია. კაცთა შორის ძმობა, ერთობა, სოლიდარობა ეს ს.-ფედერალისტთათვისაც იდეალია, მაგრამ ამ

კაცობრიობის ერთს ოჯახში არა თითოეული ინდივიდი შეავ შემადგენელ ნაწილად, არამედ თვით ერი, თავისი განსაკუთრებული სახით, თავისი კულტურით და იქნება თავისუფალი და დამოუკიდებელი ერთეული. კაცობრიობა მათ წარმოდგენაში მშვენიერი რამ, მრავალფეროვანი და თვალწარმტაცი თაიგულია, სხვა და სხვაფერ ეროვნებათაგან საამურად მოქარგული. სოციალისტურ ბედნიერ ქვეყანაში თვით ერნი შედგამენ ფეხსაო, ამბობს იგი შეხედულება და ამნაირად მისთვის სულერთი არ არის გაქრება თუ არა ერი. *)

ს. დადიანი.

(დასასრული იქნება).

მიწის საკითხი **)

რეფორმაციას, რომელიც მოახდინა ლიუტერმა, სარწმუნოება ედვა სარჩულად და, მერე, ლიუტერის რეფორმაციის ნიადაგზე აღმოცენდნენ ფანატიკური ბურჟუაზიული სექტები, რომელნიც ცდილობდნენ შეებოჭათ საზოგადოება.

მაგალითად ცვინგლი,—რომელიც შეიქმნა სარწმუნოებრივ რეფორმატორად ლიუტერის გავლენით,—იმ აზრისა იყო, რომ სახელმწიფო უნდა გარეოდა სარწმუნოებრივ საქმეებში. მისი მსოფლმხედველობა მოითხოვდა სხვაგვარი რწმენის დევნას, და მისი ცხოვრება სავსებით ეთანხმებოდა მის რწმენას. მან წინასწარმეტყველის როლი მიითვისა და ქალაქის საბჭო სარწმუნოებრივ კანონმდებლად გახადა. მაგალითად 1530 წელს საბჭომ გამოსცა ბრძანება, რომ ყოველი მოქალაქე კვირა დღეს უთუოდ მოსულიყო ეკლესიაში და დასწრებოდა წირვას. 1525 წელს კათოლიკეთ აუკრძალეს წირვა. მეორე რეფორმატორმა, კალვინმა, დაუმორჩილა თავის სასტიკ სარწმუნოებრივ სისტემას ჟენევა (1536 წლიდან 1555 წლამდის).

1542 წელს მან დააწესა უხუცესთა სამსჯავრო, ანუ კონსისტორია, რომელსაც ყური უნდა ეგდო თვითეული მოქალაქისათვის. ამგვარად, მან შებოჭა თვითეული მოქალაქის პირადი ინიციატივა და თავისუფლება. აღკრძალულ იქმნა ყოველივე სამხიარულო გასართობი: სახალხო თამაშობანი, სიმღერები, ცეკვა და სხ. და, ვინც არ ემორჩილებოდა ამ აღკრძალვას, სასტიკად ისჯებოდა.

ამგვარი ხასიათი ჰქონდა რეფორმაციას, რომელიც აღიარეს მოქალაქეებმა და რომელსაც თან ახლდა სარწმუნოებრივი ფანატიზმი.

მაშ სარწმუნოებრივი ფანატიზმი მარტო გლეხთა მოძრაობის ნიშნობლივ თვისებას კი არ შეადგენდა, არამედ საზოგადო მოვლენა იყო იმ დროს.

გლეხთა აჯანყება დაიწყო 1525 წლის თებერვალში და თითქმის მთელ გერმანიას მოედვა, მაგრამ აჯანყებულთა მოუმზადებლობისა და მოუწყობელობის გამო, მოძრაობა ენკენისთვეში ჩააქრეს.

რა შედეგი მოჰყვებოდა გლეხთა გამარჯვებას? ვფიქრობ, რომ დამყარდებოდა ისეთივე ფედერატიული კავშირი რესპუბლიკათა, როგორიც იყო შვეიცარიაში, და დღეს ევროპაში დაახლოვებით ისეთივე წესწყობილება იქნებოდა, როგორიც არის ჩრდილო-ამერიკის რესპუბლიკაში.

ამასვე ამტკიცებს მეორე დიდი ისტორიული ფაქტი. საფრანგეთის დიდი რევოლიუცია ვერ გაიმარჯვებდა, გლახებიც რომ არ ამხედრებულიყვნენ ფეოდალთა წინააღმდეგ.

და, თუ გლეხებს ოდესმე რეაქცია გაუძლიერებიათ, ამის მიზეზად უნდა დავსახოთ მათი შეკავშირების სიძნელე, მაშასადამე, მათი დამორჩილების სიადვილე.

ამიტომ მიწის წვრილ მუშათა გამრავლებას დიდი პოლიტიკური და ეკონომიური მნიშვნელობა აქვს, რადგან მიწის მუშათა სიმრავლე ასაზრდოებს ვაჭრობასა და მრეწველობას, ჰქმნის შინაურ ბაზარს და ხელს უწყობს დემოკრატიული წესწყობილების განმტკიცებას. შეჰქენით ისეთი ეკონომიურად ღონიერი გლეხობა, როგორიც არის ჩრდილო-ამერიკის შტატებში და თქვენ შეიქმთ, იმავე დროს, ამერიკის განვითარებულს ეკონომიურსა და პოლიტიკურ ცხოვრებას.

უნდა აღვიაროთ თუ არა დღევანდელი კერძო საკუთრება, როგორც საუკუნო, უცვლელი სახე აგრარული ურთიერთობისა? ვფიქრობ, რომ არა.

---

*) ოტტო ბაუერის შეხედულება ამ უკანასკნელ შეხედულებას უფრო უახლოვდება ვიდრე ბერგელს, რომელსაც იგი „გულუბრყვილო კოსმოპოლიტიზმს“ უწოდებს, მაგრამ იგი ვერა სორგუნავს საბოლოოდ იმ ტენდენციას, რომლის მიხედვით თითქოს საჭირო იყოს ეგზალ ეროვნებათა გაქრობა „ერთი ეროვნების შესაღებად“. გვ. 170. ს. დ.

**) იხ. „ᲙᲚᲓᲔ“ № 6 და 7.

ცხოვრება წინ მიდის და საერთო განვითარებას, ევოლიუციას, ვერც კერძო საკუთრება ასცდება.

წვრილი მიწის მუშები აარსებენ საერთო ღვინის სარდაფებს, პურის საწყობებს, აბრეშუმისა, ყველისა, მატყლისა და სხ. საკეთებელ ქარხნებსა, საკრედიტო ამხანაგობათა, საერთო სავაჭრო ამხანაგობათ და სხ. გლეხი თავს ითავისუფლებს ბარბაროსობიდან და ახალის, დაწინაურებული წარმოებისა და ცხოვრების მოწინავე ხდება. ამხანაგობა, კავშირი აუცილებელი შეიქმნა.

და, ვინ იცის, როდის და რა ბოლო ექნება ამ ახალი წარმოების წესს? შეიძლება არასოდეს არ განხორციელდეს სოციალიზმი იმ სახით, როგორც ფიქრობენ სოციალისტები, და შორეულმა სანატრელმა ეკონომიურმა წესწყობილებამ არ უარჰყოს სავსებით კერძო საკუთრება. შეიძლება მომავალმა საზოგადოებამ ძლიერ შეამციროს მხოლოდ ის მაქსიმუმი მიწისა, რომელიც ეპიროს ხელში ერთ მესაკუთრეს. მაშინ კი მიწა ალბად ყველას ექნება, მაგრამ არც კერძო საკუთრება იქნება უარყოფილი და არც ეკონომიური თანასწორობა იქნება განხორციელებული. მაშასადამე კვლავ დარჩება კერძო საკუთრება, მაგრამ შეცვლილი, შეზღუდული.

მეორე მხრით ვერც არავინ იმას იტყვის, რომ კერძო საკუთრება არასოდეს არ მოისპობაო. შეიძლება ოდესმე კომმუნამ დაიჭიროს კერძო მესაკუთრის ადგილი, მაგრამ, ცხადია, სრული ეკონომიური თანასწორობა კომმუნათა შორის არც მაშინ იქნება.

ბოლოს, შეიძლება, ევოლიუციამ იქამდის მიაღწიოს, რომ მთელი ერი ერთ ოჯახად გარდაიქმნეს.

მაგრამ, დაწვრილებით არავის არ შეუძლია სთქვას წინ და წინ, როგორი წესი დამყარდება შორეულ მომავალში. ეს პლანები და პროგრამები შორეულ ეკონომიური ურთიერთობისა მეცნიერულ საფუძველს კი არ ემყარებიან, არამედ უფრო პირადს, სუბიექტიურ სურვილებს, ნატვრას.

მხოლოდ ერთი რამე შეიძლება აღვიაროთ წინდაწინვე. ეკონომიური ევოლიუცია უარჰყოფს ყველაფერს, რაც ეწინააღმდეგება მწარმოებელის პირად სარგებლობას.

და ამ მხრით კომმუნა უფრო შესაძლებელი, ადვილად განსახორციელებელი და სასარგებლო იქნება, ვიდრე მიწის სოციალიზაცია. კომმუნა ერთი დიდი ოჯახია. თვითეული წევრის სარგებლობა სავსებით ეთანხმება სხვა წევრთა სარგებლობას, როდესაც კი თანასწორობაა წევრთა შორის, და თვითეული წევრი დარწმუნებულია, რომ, თუ კომმუნის საქმეები კარგად მოეწყობა, მისი შთამომავლობაც უზრუნველყოფილი იქნება. მაშასადამე, ამ მხრით კომმუნა ძლიერ ჰგავს კერძო მესაკუთრეს და იმავე დროს ძლიერ განსხვავდება მიწის სოციალიზაციისაგან. და სწორედ ამ მიზეზს მიეწერება, რომ ჩრდილო-ამერიკის რესპუბლიკაში მშვენიერად მიდის ბევრი ამგვარი კომმუნის საქმე, როგორც აღნიშნავს ანციფეროვი თავის თხზულებაში კოოპერაციათა შესახებ.

მაგრამ არიან ისეთებიც, რომელთაც სწამთ სავსებით სოციალისტური ორგანიზაცია და უარჰყოფენ კერძო საკუთრებას შორეულ წესწყობილებაში.

აქვთ თუ არა ამგვარ სოციალისტებს რამე საერთო ნაციონალ-დემოკრატიასთან? ცხადია, რომ ისინი არსებითად არ განსხვავდებიან ნაციონალ-დემოკრატებისაგან. რატომ? იმიტომ, რომ მათი სოციალიზმი შორეულ მომავალს შეეხება და არა აწმყოს, ამ დროს. დღეს კი ისინი პირწმინდა ნაციონალ-დემოკრატები არიან. ისინი უარჰყოფენ დღეს სოციალიზმის განხორციელების შესაძლებლობას, მათთვის სოციალიზმი არ წარმოადგენს პრაქტიკული ეკონომიური პოლიტიკის საგანს. მაშასადამე, ისინი დღეს, შეიძლება ითქვას, არ არიან სოციალისტები, კიდევაც რომ სოციალისტებად აღიარებდნენ თავის თავსა.

მეორე მხრით ნაციონალ-დემოკრატები, რომელნიც უარჰყოფენ სრულიად სოციალიზმს, არ უარჰყოფენ კოოპერაციებს, ამხანაგობათ, კერძო მესაკუთრეთა ეკონომიურ შეერთებას, რადგან ერთობა ჰქმნის ეკონომიურ პროგრესს, სიმდიდრეს. და ამ ნიადაგზე ნაციონალ-დემოკრატი და ის, ვისთვისაც სოციალიზმი მხოლოდ შორეულ იდეალს წარმოადგენს, ერთად არიან. ცხადია, ეს უკანასკნელი ნაციონალ-დემოკრატი უფროა, ვიდრე სოციალისტი. და დიდი შეცდომა იქნება, რომ ნაციონალ-დემოკრატმა ხელი ჰკრას მას მხოლოდ იმიტომ, რომ ის აღიარებს სოციალიზმს, როგორც შორეულ იდეალს.

მხოლოდ იმას არ შეგვიძლია ვუწოდოთ ნაციონალ დემოკრატი, ვინც ფიქრობს, რომ დღესვე შეიძლება სოციალიზმის განხორციელებაო, ან ვინც აღიარებს მიწის სოციალიზაციას ნაციონალიზაციას ან მუნიციპალიზაციას, როგორც მახლობელს ეკონომიურ იდეალს, რადგანაც მისი პრაქტიკული

მოქმდება და ტაქტიკა უარჰყოფს პრინციპიალურად წვრილ კერძო მიწის მუშათა გამრავლებასა და ეკონომიურ გაღონიერებას, თუმცა პრაქტიკულად ხშირად არის იძულებული უღალატოს თავის პრინციპს.

მაგრამ რა დამოკიდებულება უნდა დაიჭიროს ნაციონალ-დემოკრატიამ სოციალისტურ პარტიებთან? ყოველთვის და ყველაფერში უნდა გადაეღობოს მათ? სრულიადაც არა. სადაც სხვა და სხვა დემოკრატიულ პარტიებს ერთი გზა აქვთ, იქ ერთად მოქმედებაა საჭირო.

და დიდ უბედურებად უნდა ჩავთვალოთ ის უკიდურესი ფანატიზმი, რომელმაც გაიკვლია გზა ჩვენში პარტიებს შორის. ერთმანეთის სიძულვილი, მოპირდაპირის აზრის აუტანლობა, მარტო საკუთარი რწმენის აღსარება, ერთადერთ ჭეშმარიტებად აღიარება და პარტიული ფანატიზმი, რასაც ადგილი ჰქონდა ამ უკანასკნელ დროს ჩვენში, საშუალო საუკუნეებს მოგვაგონებს და ჩვენს გონებრივ განუვითარებლობას მოასწავებს.

ვერიდოთ ფანატიზმს, რომელსაც არასოდეს და არსად კარგი არა დაუთესია-რა!

როგორი უნდა იყოს ჩვენი პრაქტიკული პოლიტიკა? რუსეთში რომ ოდესმე საკანონმდებლო ორგანო მნიშვნელობას მოიპოვებდეს და რუსეთის კონსტიტუციონალ-დემოკრატების საადგილ-მამულო პროგრამა განხორციელდებოდეს, ჩვენი ნატვრა ადრე ასრულდებოდა. კადეტებს უნდათ, რომ დიდ მემამულეს მამულის მხოლოდ განსაზღვრული რაოდენობა შერჩეს ხელში, ზედმეტი კი სახელმწიფომ იყიდოს და გადასცეს გლეხებს. ამგვარი გამოსყიდვა იძულებითი უნდა იყოს, მაგრამ მემამულეს მამულის სამართლიანი, ნადმვილი ფასი უნდა მიეზღოს. ამგვარად მოისპობა დიდი მამულები, ეგრეწოდებული ლატიფუნდიები, და შეიქმნება ეკონომიურად ღონიერი გლეხობა.

რაც შეეხება მიწის სათემო მფლობელობას, ამის შესახებ კადეტთა შორის არ არის სრული თანხმობა: ზოგი კერძო საკუთრებას აღიარებს, უმეტესობა კი სათემოს.

ჩვენში კი, რასაკვირველია, დღეს შეუძლებელია ლაპარაკი სათემო მფლობელობაზე, ე. ი. ბაღოსნობა და მევენახეობა უდევს საფუძვლად მეურნეობას.

რატომ არ უნდა იყოს სათემოდ, მაგალითად, ტყე? იმიტომ, რომ სათემო ტყის დაცვა შეუძლებელია: თვითეული წევრი თემისა ცდილობს, რაც შეიძლება, მეტი მოსჭრას, და, როდესაც ტყე კერძო საკუთრებას შეადგენს, პატრონი იცავს, ინახავს. ტყის შენახვას კი უდიდესი სამეურნეო და კლიმატოლოგიური მნიშვნელობა აქვს.

რატომ არ უნდა იყოს საძოვარი სათემოდ? ის საძოვარი, სადაც შეიძლება ბალახის თესვა, ინტენსიური მეურნეობა, სჯობს იყოს კერძო საკუთრებად, რადგან სათემო მფლობელობა ხელს უშლის ინტენსიურ წარმოებას: ერთი რომ მოინდომებს გაუმჯობესებას, მეორე არ მოინდომებს ან ვერ შესძლებს მხარი დაუჭიროს პირველს.

ის საძოვრები კი—მაგალითად, მთებში ან დიდს ეერწყავ მინდვრებზე, რომელთა გაყოფაც შეუძლებელია, უნდა დარჩეს სათემო მფლობელობაში.

მაგრამ ეს კი უნდა აღვიაროთ: ლატიფუნდიები არასოდეს არ ყოფილა სასარგებლო. პირიქით, როდესაც მცირეოდენ ჯგუფს ჩაუგდია ხელში მთელი მიწა-წყალი, მაშინ ქვეყნის მეტი წილი დაუმუშავებელი დარჩენილა, მიწის მუშათა უმეტესობა ღარიბია და არ წარმოადგენს საკმაო შინაურ ბაზარს, და, ამიტომ ვაჭრობა და მრეწველობა განუვითარებელია.

ახლა ვიკითხოთ: რა პოლიტიკა უნდა ვაწარმოოთ ჩვენში.

სათათბიროში ჩვენმა დეპუტატმა უნდა დაიცვას კერძო საკუთრება მამულზე და დაუჭიროს მხარი მამულების გამოსყიდვას დიდ მემამულეთაგან იმ პირობით კი, რომ ეს მამულები გადაეცეს მცირე ფასად ქართველ გლეხებს.

მაგრამ ეს მხოლოდ შორეული პოლიტიკა იქნება და, ვინ იცის, მოიპოვებს თუ არა სათათბირო ისეთს უფლებას, რომ მისი ნება კანონად შეიქმნეს, და, თუ ჩვენ ამ კანონმდებლობასაც შევეხეთ, იმიტომ, რომ საჭიროა ნათელვყოთ ჩვენი პრინციპიალური შეხედულება ამ საკითხზე. და, როგორცა ვთქვით ამ პრინციპის დედა აზრი ეს არის: ჩვენ უარვყოფთ მამულების უსასყიდლოდ ჩამორთმევას, რადგან ეს გამოიწვევდა საერთო ეკონომიურ კრიზისსა და არეულობას, რომელიც შობდა, როგორც მიზეზი შედეგს, საშინელ რეაქციას.

როგორი-ღა უნდა იყოს ჩვენი დღევანდელი აგრარული პოლიტიკა?

ვფიქრობ, რომ მხოლოდ კრედიტს შეუძლია განახორციელოს ხსენებული მიზანი, რადგან ახლანდელ დროში უკრედიტოდ არა კეთდება-რა. და ამ აზრის დასამტკიცებლად კვლავ დავიმოწმებ

პოზნანის საჰერცოგოს, სადაც საგლეხო საადგილ-მამულო ბანკებმა იხსნეს პოლონელნი ტერიტორიის დაკარგვისაგან. (იხ. ამის შესახებ „ბერნგარდტის“ კეთილსინდისიერი გამოკვლევა: „ბრძოლა პოლონელთა არსებობისათვის პრუსიაში.“).

და ჩვენც შეგვეძლო მოგვეხმარა ამ მიზნისათვის ეგრედ წოდებული საგლეხო გამოსაკვები თანხა, რომელიც შეადგენს ქართველი გლეხების საკუთრებას. არ ვიცი, რისთვის ახდევინებს ადმინისტრაცია ყოველ წელს გლეხებს ამ გადასახადს, თუ კი ამ თანხის დანიშნულება ის არ არის, რომ გლეხებსვე დაეხმაროს.

გავიმეორებ, ამ თანხით რომ ქართული საგლეხო ბანკი დაარსდეს, ამას უდიდესი მნიშვნელობა ექნება აგრარული საკითხის სასურველად გადაწყვეტისათვის.

რუსეთის გლეხებს თუ კი ეხმარებიან სახელმწიფო საგლეხო ბანკები, უსამართლობა იქნება, რომ ქართველ გლეხებს თავისი საკუთარი საგლეხო ბანკის დაარსების უფლება არ ჰქონდეთ.

ხალხი გამრავლდა. უმამულოთა რიცხვი დღითი-დღე იზრდება. აი აქ არის სათავე სოციალური მოუწესრიგებლობისა. ეკონომიურად დასნეულებულ ერს წამალი ეჭირვება. და,როგორცა ვთქვით, კრედიტი—ერთი საუკეთესო საშუალებათაგანია.

საგლეხო სახელმწიფო ბანკის განყოფილება ჩვენშიაც არის, მაგრამ მისი დანიშნულება სულ სხვაა: მაშინ, როდესაც ქართველი გლეხი უმამულობისაგან იძულებულია სპარსეთში გადაიხვეწოს მუშად, საქართველოში იმ მამულებზე, ურომლისოდაც აქაურ მიწის მუშებს სული უნდა ამოხდეთ, სხვა გუბერნიებიდან ასახლებენ გლეხებს!

დეე, იყოს ამგვარი ბანკიც: არ უარვყოფთ, ეკონომიური ცილობა საჭიროა, მაგრამ, როდესაც სახელმწიფო საგლეხო ბანკი სხვა გუბერნიის გლეხებს უმართავს ხელსა, დიდი უსამართლობა იქნება, რომ ქართველ გლეხებსაც იგივე იარაღი არ მიაწოდონ.

როგორ, რა გზით შეიძლება ასრულდეს ეს დიდი საქმე?

ვფიქრობთ რომ საკანონმდებლო გზით. ჩვენი დეპუტატი მოვალეა შეკრიბოს ხსენებული თანხის შესახებ საჭირო ცნობები და შეიტანოს სათათბიროში შესაფერი კანონპროექტი. თავისი მხრით ჩვენი მარშლები, ბანკირები და სხვა საზოგადო მოღვაწენიც მოვალენი არიან იშუამდგომლონ, სადაც ჯერ არს, და აღმოუჩინონ ამ საქმეში ჩვენს დეპუტატს ყოველგვარი დახმარება.

და, თუ ამ გზით არ მოხერხდა ამგვარი ბანკის დაარსება, მაშინ უეჭველად სხვა გზა და საშუალება უნდა აღმოვაჩინოთ, რადგან უამისოდ სხვა დაეპატრონება ჩვენი ერის სისხლითა და ოფლით მორწყულ მიწას.

ტყვია.

ხიზანთა საკითხი

ჩვენი ჟურნალის მეშვიდე ნომერში უკვე იყო დაბეჭდილი პირი იმ ტელეგრამისა, რომელიც გაუგზავნეს ქართველ დეპუტატებს ზოგიერთმა სოფლელებმა.

ეხლა მოგვყავს პირი იმ წერილებისა, რომლებიც გაუგზავნეს იმავ სოფლებმა ქართველ დეპუტატებს.

წერილი პირველი. პირი.

სახელმწიფო სათათბიროს წევრთ ბ-ნ, ბ-ნ ვ. ლ. გელოვანს და კ. ს. ჩხეიძეს.

სათათბიროს წევრნო!

ჩვენ ფრონის ხეობის ოქონის საზოგადოების დროებით ვალდებულ და მკვიდრ გლეხებს სოფ. თერეგვნის, ახალშენის, ნედლათის, ხუნდის-უბნის, თიღის, შინდრის, მუღრისის, ტყის-უბნის, ნაბაკევის და ოქონის მცხოვრებლებისაგან ამორჩეულნი პირნი მოგმართავთ თქვენ და გიცხადებთ მათ გაჭირებას: ვინ იცის, რა დროიდან,—ჩვენ მამა-პაპათ აქ უცხოვრიათ, სამშობლოს მიდამოები განსაცდელ დროს სისხლით მოურწყავთ, ოფლი დაუღვრიათ და ჩვენამდის ჩვენი ბატონებისათვის მამული შეუნახავთ.

დღეს ჩვენმა მებატონეებმა წაგვართვეს ჩვენი ოფლით და სისხლით გაპოხიერებული სახნავი მამულები და ზედ უცხო მხრიდან გადამთიელნი ჩაგვისახლეს. დღემდის თუ თავისუფლად ვსარგებლობდით, ფართოდ ვთავსდებოდით და გვყოფნიდა საძოვრითაც, ტყითაც, დღეს გარშემორტყმული ხიზნებით შევიწროვდით და განვიცდით გაჭირვებას უმამულობით.

შევეჩვიეთ ხიზნების ჩასახლებას, მით რომ

დღემდის ჩვენ არ გვეშლებოდა მათთან ერთად საძოვრით და ბუჩქნარი ტყეებით სარგებლობა.

დღეს, როგორც გვეყურება, სახელმწიფო-სათათბიროში ირჩევა ხიზანთა საკითხი და სხვათაშორის ხიზნების სარგებლობის ქვეშ უნდა გადავიდეს საძოვარი, სათიბი და ბუჩქნარი ტყეები, თუ ეს დაკანონდა, მაშინ ჩვენ ხიზნები აღარ გაგვატარებენ ამ ადგილებში, მეორე ბატონები გაგვიჩნდებიან და ძალაუნებურად ჩვენსა და მათ შორის უნდა დაირღვეს კეთილი განწყობილება.

ჩვენ მაშინ აქ აღარ გვეცხოვრება!

აი, ამიტომ, გთხოვთ ხიზანთა საკითხის დროს იქონიოთ მხედველობაში დროებით-ვალდებულ და მკვიდრ გლეხების მდგომარეობა და დასტოვოთ ის ადგილები, რომელნიც უნდა გადავიდეს ხიზნების ხელში—როგორც სასერვიტუტო ადგილები, საერთო სარგებლობაში ხიზნების და დროებით-ვალდებულ გლეხებს შორის, ე. ი., დროებით ვალდგბულ და მკვიდრ გლეხებს არ დაუშალონ საძოვარი და ბუჩქნარი ტყეებით სარგებლობა.

ეს წერილი ეკუთნის გორის მაზრის, გომის საბოქაულოს ოქონის საზოგადოების რწმუნებულ პირებს ალექსი ჟღენტს და სოსიკო მესხს, 1914 წ. 12 თებერვალს.

რომელზედაც ხელს ვაწერ: ჩემს მაგიერ და სოსიკა მესხის მაგიერ, რომელმაც წერა არ იცის, ხელს ვაწერ ალექსი ჟღენტი, ვამოწმებ მე ოქონის საზოგადოების სოფლის სასამართლოს მოსამართლე ალექსი ჟღენტის ხელის მოწერას მე იასონ ნინაშვილი სახელმწიფო ბეჭედის დასმით.

წერილი მეორე. პირი.

სახელმწიფო სათათბიროს წევრთ ბ-ნ, ბ-ნ ვ. ლ. გელოვანს და კ. ს. ჩხეიძეს.

სათათბიროს წევრნო!

ჩვენამდის მოაღწია და გვეყურება, რომ ამ ჟამად სახელმწიფო-სათათბიროში ირჩევა ხიზანთა საკითხი და სხვათაშორის მათ სარგებლობის ქვეშ უნდა გადავიდეს საძოვარი, სათიბი, საწყლიპირო და ბუჩქნარი ტყეები იმ საზღვრებ შიგნით, რომლებითაც ჩვენ და ხიზნები საერთოდ ვსარგებლობდით და, თუ ეს დაკანონდა, მაშინ ჩვენ მეორე ბატონები გაგვიჩნდებიან.

ჩვენ მკვიდრნი მცხოვრებნი გლეხნი, რომელნიც ჟამთა-ვითარების შემდეგ ვსარგებლობდით ამ ადგილებით, აქ ჩვენ მამა-პაპათ სისხლი და ოფლი ჩაუღვრიათ, რაღაც ოცი და ოცდაათი წლის განმავლობაში ჩვენმა მემამულეებმა ჩაგვისახლეს უცხო მხრიდან მოსული ხიზნები, ჩამოგვართვეს სახნავი მამულებიც და მით უფრო უმამულობისაგან შევიწროვდით.

შეიზა ჩვენი სოფლის ოქონის, როგორაც საზღვრები—აგრედვე მფლობელობა ხიზნების სოფლების გაშენებით, ერთის მხრივ სოფ. სხლითით და მეორეს მხრით სოფ. გიორგი-წმინდით,—სოფ. ოქონას, ვიდრე ხიზნებს ჩაგვისახლებდნენ, ეჭირა ზომით 1470 დეს. 1700 კ. ს., დასახლების შემდეგ სოფ. სხლითზედ გადავიდა 445 დეს. 1630 კ. ს. და სოფ. გიორგი-წმინდაზედ— 385 დეს., მაშასადამე სოფ. ოქონას დარჩა 646 დეს. 70 კ. ს., რომელიც ჩვენ დროებით-ვალდებულ გლეხებს გვეკუთნის 110 დეს. 1800 კ. ს. ნაღდი, დანარჩენ მამულთ ფლობელობენ ძმ. ფალავანდიშვილები, წვრილი მემამულენი აზნ. ლაშხები, ხიმშიაშვილები და მესაკუთრე გლეხები. ამ ნადელს გარდა ჩვენ 75 მონაწილე დროებით-ვალდებულ გლეხებს გვაქვს იჯარით აღებული ამავე სოფელში ძმ. ფალავანდიშვილებისაგან სახნავი მამულები დღეს-ხვალობით, რომელნიც არა გვყოფნის და განვიცდით გაჭირვებას უმამულობისა გამო, როგორც სახნავით—ისე საძოვრით.

მართალია დღემდის ჩვენ არ გვეშლებოდა საძოვრის, საწყლიპიროსი და ბუჩქნარი ტყეების სარგებლობა, მაგრამ რაკი ხიზნების ხელში გადავა ეს ადგილები და დაკანონდება, მაშინ ჩვენ მკვიდრ მცხოვრებლებს ხიზნები აგვიკრძალავენ ამ ადგილებით სარგებლობას და ძალაუნებურად ჩვენი კეთილ-განწყობილება მათთან უნდა დაირღვეს და მასთანვე ჩვენი უმწეო ცხოვრებაც მით უფრო დაქვეითდება.

აი, ამიტომ მოგმართავთ თქვენ, სათათბიროს წევრნო, ჩვენ სოფ. ოქონის მცხოვრებნი, ხიზანთა საკითხის დროს იქონიოთ მხედველობაში ჩვენი მდგომარეობა და დასტოვოთ ის ადგილები, რომელიც უნდა გადავიდეს ხიზნების ხელში—როგორც სასერვიტუტო ადგილები, საერთო სარგებლობაში ჩვენსა და ხიზნებს შორის, ე. ი., ჩვენ არ დაგვეშალოს საძოვრით და ბუჩქნარი ტყეებით სარგებლობა.

ეს წერილი ეკუთვნის გორის მაზრის, გომის საბოქაულოს სოფ. ოქონის მცხოვრებლებს 1914

წ. 10 თებერ. რომელზედაც ხელს ვაწერთ: და ხელს აწერენ სამოცდა სამი კაცი.

მცირე განმარტება

ზემო მოყვანილ სოფლის საზოგადოებათა წერილებიდან მკითხველი ადვილად დაინახავს რა მდგომარეობაში ჩააყენა მთავრობის კანონ-პროექტმა ხიზანთა დამოკიდებულების შესახებ ჩვენი გლეხობა. ჩვენ ჟურნალში დღეს იბეჭდება მხოლოდ ორი წერილი, მაგრამ მალე გამოვაქვეყნებთ სხვა საგლეხო საზოგადოებათა წერილებსაც, ასეთი წერილები გაგზავნეს სახელმწიფო სათათბიროში სოფელ დოესის და ხოვლეს საზოგადოებამაც. ეხლა, როდესაც ასე აშკარად ირკვევა სრული შეუსაბამობა ხიზანთა საკითხის ისე გადაწყვეტისა, როგორც ეს კავკასიის მთავრობასა სურს და როგორც ეს ჩვენმა დემოკრატიულმა პარტიებმა მოიწონეს, უფლება გვაქვს შევეკითხოთ ამ დემოკრატიულ პარტიებს: სად იყვნენ ისინი და რატომ არ იცოდნენ მათ, რომელთაც „ხალხში ღრმა ფესვები აქვთ გადგმული“, რომ ასეთი გადაწყვეტა ჩვენს ისედაც არეულ სოფლის ურთიერთობაში ასეთ არეულობას გამოიწვევდა. ჩვენ არა ერთხელ გამოგვითქვამს ის აზრი, რომ ხიზანთა საკითხი ისეთი უბრალო საკითხი არ არის, რომელიც შეიძლება უბრალო ბიუროკრატიულის საშუალებით გადაწყდეს. ჩვენ არა ერთხელ გამოგვითქვამე ის აზრი, რომ ხიზანთა საკითხი ეხება, არა მარტო მემამულეთ, არამედ სხვა კატეგორიის გლეხებსაც. ჩვენ იმ აზრისანი ვიყავით, რომ ასეთი გადაწყვეტა ხიზანთა საკითხისა მემამულეთა ახალ კატეგორიის წარმოშობვას ნიშნავდა, რომელიც მესამე პირთა ინტერესებს უსათუოდ შელახავდა. დღეს ეს თვით ცხოვრებამ დაამტკიცა. ჩვენ ხელთა გვაქვს ის დოკუმენტები, რომლებიც ჩვენს აზრს ადასტურებენ და ერთხელ კიდევ ზედმეტად ამტკიცებენ იმ აზრს, რომ ჩვენი დემოკრატიული პარტიები არ იცნობენ საქართველოს ეკონომიურ ვითარებას, მაგრამ ყველაზედ მეტად ჩვენ გვაინტერესებს ის, თუ რამდენად მიაქცევენ ჩვენი დეპუტატები ყურადღებას ამ საკითხს და როგორ შესძლებენ ამ საკითხის სწორედ გადაწყვეტას?

მთავარ პირობად ხიზანთა საკითხის სწორედ გადაწყვეტისა ჩვენ მიგვაჩნია ის, რომ უპირველესად ყოვლისა კანონ-პროექტი კავკასიის მთავრობას უკან დაუბრუნდეს ხელმეორედ განსახილველად. სახელმწიფო სათათბიროს ერთ ერთ კომისიაში უკვე იყო გამოთქმული ეს აზრი. მაგრამ მაშინ ნამესტნიკის წარმომადგენელმა ის აზრი გამოსთქვა, რომ თუ ეხლავე არ გადასწყდა საკითხი და თუ ისე არ გადასწყდა, როგორც ჩვენა გვაქვს შემუშავებული, მემამულენი და ხიზნები ერრმანეთს დასჭამენო. კომისიას ამისი შეეშინდა და კანონ-პროექტი აღარ დააბრუნა. მაგრამ ეხლა როცა სხვა ფაქტორმა იჩინა თავი, როცა აქ სხვა კატეგორიის გლეხთა ინტერესები აშკარად იჩაგრება, ჩვენი დეპუტატები მოვალენი არიან კანონ-პროექტის ახალი შედგენა მოითხოვონ.

არ გვინდა ქართული ენა!

მე-II გიმნაზიის დირექტორისათვის მიურთმევია თხოვნა ქართველ მშობელთა ჯგუფს ქართული ენის გაკვეთილების მოსპობის შესახებ (გაზეთებიდან).

„Gallia omnia divisa est in partes tres, მოისმოდა მოწყენილი ხმა საბავშვო ოთახიდან, სადაც კოკოჩკა, ბორის გლების ძე გადაგვარობისძეს უმცროსი ვაჟი, ლათინური ენის გაკვეთილს ამზადებდა.

ტატიანა გადაგვარობიძისა, ლეჩაქ ყურგადაგდებული, იჯდა მაგიდასთან და მეექვსედ პასიანსსა შლიდა: „მოვიგებ დღეს ლოტოში თუ არაო?

— Quo usque, tandem abutere Catilina, patientia nostra, გაისმა მეორე ოთახიდან უმფროსი ვაჟის ხმა. ტატიანას მშობლიური გრძნობა გაეღვიძა და მძიმედ ამოიოხრა.

— წერილები ხომ არაფერი მოუტანიათ? იკითხა ბორის გლების ძემ და მძიმედ სავარძელზე დაეშვა.

— როგორ არა! აი, რაღაცა უწყება მოიტანეს.

უწყების ხსენებაზედ ბორისს ათასმა შავბნელმა აზრმა გაუელვა. „კლუბში არ მიჩხუბნია, ფიქრობდა ბორისი, თუმცა ერთხელ ძალიან გადავკარით და უწესოებაც მოვახდინეთ, მაგრამ... მაშინ ხომ შინაურულად მოვარიგეთ... ნუ თუ ლათინური ენის მასწავლებელმა მიჩივლა... მაგრამ ჯერ ხომ არ გამილანძღავს კოკოჩკას ორისათვის... ნუ თუ

ჩემმა „დულცინეიამ“ კიდევ შარი მომიდო... მაგრამ ის ხომ მაშინ ჩავაჩუმე: ოთხი „ეკატერინაკა“ ჩაუდე... ტატიანამ რომ გამიგოს, ხომ კაი დღეს არ დამაყენებს... პირდაპირ საგონებელში ვარ ჩავარდნილი, რათ მიბარებენ სასამართლოში.— გულისფანცქალით, აიღო ხელში უწყება, დახედა და... გული დაუმშვიდდა.

— მოწყალეო ხელმწიფევ! მე-II გიმნაზიის დირექტორი გიბარებთ თქვენ მშობელთა წრის კრებაზედ, რომელზედაც გაირჩევა საკითხი ქართული ენის გაკვეთილების გაუმჯობისების შესახებ...

აი ახალი დარდი! რა ოხრად მინდა რომ ჩემმა შვილმა ქართული ისწავლოს.

— რაო? რაო? ბორკა რის შესახებ იქნება კრებაო?

— ქართული ენის გაკვეთილისა!

— ჩვენ აქ ვცდილობთ, როგორმე რუსული შეისწავლოს ბავშვებმა, გაკაპასდა ტატიანა, სახლში ქართულად ლაპარაკს უშლი და დახე,იმათ გიმნაზიაში უნდა გაუმჯობესონ?! გენაცვათ რა დრო დადგა! არა, ერთი მითხარი რის გამოსადეგია ქართული ენა? აზირ, მუსიკა ასწავლონ ქართულის მაგიერ!

— ჰო, დედაჯან! შემოვიდა კოკოჩკა ამ ლაპარაკზედ, ისეთი დაღლილები ვართ მეხუთე გაკვეთილის შემდეგ, რომ არაქათი აღარა გვაქვს ხოლმე და ახლა მოდი და ქართველი რაკი ხარ, ქართული გაკვეთილისათვის დარჩი. აბა რა ჭირათ მინდა ქართული ენა? ჯერ სხვა მაწუხებს და ახლა ვიღაცა რუსთაველის ლექსები ზეპირად ისწავლეო. უიმისოთაც თავი მაქვს გალაყებული ცეზარითა და ბუსლაევითა, რამდენსა ვცდილობ თავს ვიხეთქავ და ორზედ მეტს ვერ ვიღებ.

— შენ პაპიროსი კიდევ მოგიწევია?

— არა დედა არ მომიკვდება...

— ნუ სჯაუი, მაშ რად არის შენი ოთახი კვამლით გამოტენილი?

— დახე, დახე! ხელშიაც უჭირავს, შეამჩნია ტატიანამ და ორივემ, შეერთებული ძალით, კოკოჩკას ტანს მშობლიური დარიგება მშობლიურად აგრძნობინეს, რის შემდეგ კოკოჩკა ნატკენ ალაგების ქექვით, ბურტყუნით თავის ოთახში გაემგზავრა.

— უნდა უშველოთ რამე ბორიჩკა, თორემ ქართული ენა დაღუპავს ჩვენ ბავშვებს, ამდენი სწავლით სულ ფერი აღარ ადევთ, მეტადრე ვასიჩკას, რომ უყურებ, პირდაპირ თვალები ცრემლით მევსება, შესჩიოდა ტატიანა და თან საათს უყურებდა: „კლუბში არ დაგვიანდესო.“

— უნდა უშველოთ...

— მამი, ჩაურთო უფროსმა ვაკმა, რომელიც კოკოჩკას დარიგების დროს შემოსულიყო თავის ოთახიდან. ძალიან ბევრს დროს გვართმევს ქართული ენა. სწორედ იმ დროს არის როცა ცეკვის გაკვეთილი გვაქვს. ქართული ენისათვის ორი გაკვეთილი გამოუშვი. მუსიკისას ხომ ნურას იტყვი; რამდენი ხანია დიდ ოსმალურ დალაბანდზე არ დამიკრავს: სულ ქართული ენის ბრალია...

— კარგი შვილო, წადი გაკვეთილები ისწავლე და დანარჩენი ჩვენ ვიცით, ქართულს ნუ მოამზადებ...

— დედიჯან, მე და პეტროვმა „ტანგოს“ ცეკვა ვისწავლეთ. აი, ესე იწყობა...

— უი, გენაცვალოს დედა! რა კოხტადა ცეკვამ, ჩემო თვალის სინათლევ!

— განცხადება უნდა შევიტანო დირექტორთან...

— ბარემ ეხლა დაჯექი და დასწერე, თორემ მერე გადაგავიწყდება.

— სადა მცალიან! აბა რა დროსია? შემდეგ როდისმე... „კრუჟოკში“ დამიგვიანდება.

— არა უშავს რა, მოასწრობ წაგებას... ეხლავ დაჯექ და მერე ერთად წავიდეთ.

— ეხ,რა გაეწყობა, თორემ შენ ბურტყუნს ვინ აუვა!..

ერთი საათის შემდეგ ბორისი გამოვიდა კაბინეთიდან და ხელში დაწერილი ქაღალდი ეჭირა.

„მათ აღმატებულებას მეორე გიმნაზიის დირექტორს ქართველ მშობელთა ჯგუფის განცხადება“. კითხულობდა ბორისი: „ჩვენ, როცა მივაბარეთ გიმნაზიაში ბავშვები, ვხელმძღვანელობდით იმ მოსაზრებით, რომ ჩვენი ბავშვები აღიზრდებოდნენ რუსულად და შემდეგ ყოველ გამოსადეგ საგანს შეისწავლიდნენ. დღეს კი, როგორც თქვენი უწყებიდან სჩანს, რაღაცა ყოვლად უვარგისი და გამოუსადეგარი ქართული ენის ვაკვეთილი შემოგიღიათ და იმის გაუმჯობესობაც კი მოგისურვებიათ. თქვენო აღმატებულებავ, რა ჩვენი ბრალია რომ ჩვენ ბუნებამ ქართველად გაგვაჩინა,რომ ჩვენ ქართველმა დედამ გვშობა,ჩვენი სურვილის წინააღმდეგ,როდესაც ჩვენ სულით და გულით ქართველები არა ვართ. სამართლიანობა თხოულობს რომ მშობელთა ცოდვების გულისთვის არ დაისაჯონ შვილები და რაღაცა, უკაცრაულ პასუხია, ქართული ენით გამოულაყოთ

თავები. ამიტომ გთხოვთ თქვენო აღმატებულებავ, მოწყალების თვალით გადმოგვხედეთ და მოსპეთ ჩვენი შვილების დაუძინებელი მტერი, ზნეობრივად გამათახსირებელი და გონებრივათ დამქვეითებელი ქართული ენის გაკვეთილი.

სტატსკი-სოვეტნიკი ბორის გადაგვარობიძე.

— სხვებსაც მოვ:წერინებ ხელს და გაუგზავნი დირექტორს. ეხლა კი წავიდეთ?

და ეს ორი მგრძნობიერი მშობელი, გაბრწყინვალებული სახით, აღფრთოვანებულნი იმ ამაყი აზრით, რომ მათ შეასრულეს დიდებული მისია შვილის აღზრდაში, მიეშურებოდენ „კრუჟოკისაკენ“?

თრითინა.

ვერონელი ქალი

ანატოლ ფრანსისა

Puella autem moriens dixit: „Satanas, trado tibi corpus meum cum anima mea“. (Quadragesimale opus declamatum Parisiis in ecclesia S-ti Iohannis in Granvia per venerabilem patrem Sacrae scripturae interpretem eximium Ol. Mailardum. 1511.)

ეს ამბავი ნაპოვნია პატიოსანი მამის ადონე დონის მიერ სანტა კროჩეს მონასტრის არქივში, ვერონას.

ელეტა ვერონელი ქალი თვალად და ტანად ისეთი შვენიერი იყო, რომ ნაკითხი ხალხი, ისტორიისა და ზღაპრის მცოდნე, იმის დედას ხან ლატონას, ხან ლედას და ხან სეშელეს ეძახდა. ამით უნდოდათ ენიშნათ, ვითომც მისი მუცლის ნაყოფი უფრო ვისმე ზეკვსი დვოის ჩასახული იქნებოდა, ვინმე ვისმე მომაკვდავის კაცისა, როგორიც იყვნენ ქმარი და საყვარლები ხსენებულის ბანოვანისა. ხოდო ვინც უფრო ბრძენნი იყვნენ, მეტადრე მამა ბატისტა,—ჩემს წინ სანტა კროჩეს მონასტრის წინამძღვარად რომ ბძანდებოდა, ისინი ჭკონებდნენ, რომ ეგოდენი ხორციელი სიტურფე ეშმაკის მანქანისაგან უნდა წარმომდგარიყო, რადგანაც ეშმაკი არის ხელოვანი, როგორც გულისხმობდა ნერო კეისარი. როდესაც სულთ-მებრძოლი ამბობდა: „რა ხელოვანი ვკვდებიო!“

და შეუძლებელიც არის კაცს რაიმე ეჭვი ჰქონდეს, ვითომც დვოის მოძულე სატანა, დიოონის ხელსაქმარში ხერხიანი, ხორცის საქმეშიაც დახელოვნებული არ იყოს. ოითონ მე, ამ წუთისოფლის საქმეების დიადმაც საკმაოდ მცოდნეს, ბევრი ზარი და კაცის ქანდაკი მინახავს ადამის ტომის მტრის ნაკეთი. საკვირველი ხელოვნებისა იყო. დედაკაცის შვილებიც მინახავს, რომ ეშმაკის შექმნილნი ეოფილიყვნენ. მაგრამ ამაზე უნდა ვსდუმდე, ბაგენი ადსარების საიდუმლობათ შეკრული მაქვს. ვიტუვი მხოლოდ, რომ ელეტას დაბადებაზე უცნაური მითქმა-მოთქმა იყო ქალაქში.

ის ქალი მე ბირველად ვერონის მოედანზე ვნახე 1320 წლის წითელს ბარასკევს, როცა თოთხმეტი წლის შეუსრულებულიყო მას აქეთ სასეირნოებსა და ეკლესიებში შემხვედრია, სადაც ქალები დაიარებიან ხოლმე. კაი ოსტატის ნახატს სურათსა ჰგვანდა.

ოქროს ფერი ხუჭუჭი თმა ჰქონდა, თეთრი შუბლი, თვალები იმ ფერისა, რა ფერისაც არის თვალი ბატიოსანი, ბიგრილად წოდებული, დაწვნი ვარდის ფერისა, ცხვირი სწორი და წვრილი. ბაგენი, კუბიდონს შვილდსავით, ღიმილით კაცს უწყლავდნენ გულსა; ნიკაბიც ბაგესავით მოტინარი ჰქონდა. როგორც იმის აბიკის საამებლად სასურველი იქნებოდა, ტანი ისე ჰქონდა აგებული. ძუძუები, არც ძალიან დიდრონი, ორის კვერილის და ნარნარის სიმრგვლით ბერანგში გამობორტოდა. ჩემის სამდვთო ხარისხის გამოისობით და იმიტომაც რომ ის ქალი თუ არ ჩაცმულ-დახურული მე არ მინახავს, იმის ტანის სხვა ასოებს ადარ აგიწერთ, თუმცა მათი საუცხოობა ტანისამოსშიაც სჩანდა.

გეტყვით მხოლოდ, რომ როცა ელეტა წმინდა ზენონის ეკლესიაში თავის ჩვეულებრივს ადგილზედ დოცულობდა, ისე მუხლს ვერ მოიყრიდა, ისე ვერ წამოდგებოდა, ან სიწმინდის ნაწილთა ამადლებაზე ისე ბირქვე ვერ დაემხობოდა, რომ კაცებს მაშინვე გულში არ ადგზნებოდათ ფიცხელი სურვილი მისის ჩახუტვისა.

თხუთმეტის წლისა იქნებოდა ელეტა რომ ბატონს ანტონიო ტორდოტას მისთხოვდა. ეს იყო ვერონელი ადვოკატი, კაცი დიდად ნასწავლი, სახელ-განთქმული და მდიდარი, მაგრამ ხანში შესული და მეტად სქელი და უგვანო. ის რომ თავის ქალაღლებით სავსე ტყავის-ბარკაგიდებული გენახა, ვერ იტყოდი იმ ორ ბარგში რომელი ერთი მიათრევს მეორესაო.

გული სატოდამობით გეწოდა, როცა მოგაგონდებოდა რომ ქორწინების საიდუმლოს ძალია, რომელიც კაცთა დიდებისა და საუკუნო ცხონებისათვის არის დაწესებუ-

ბული, უშვენიერესი ქალი ვერონისა გვერდით უნდა სწოლოდა ისეთს ბებერსა, მიხრწნილს და დავარდნილ კაცს. და ბრძენთაც იმდენად არ გაჭვირვებიათ, რამდენადაც სწყენიათ, როცა შეიტყეს, რომ სანამ ბატონი ანტონიო ტორდოტა სამართლიანობის და უსამართლობის გამორჩევაში დამეს ათევებდა, მისი ნორჩი ცოლი ქალაქის საუკეთესო მოემეებს დოგინში იწვენდა. მაგრამ რასაც შაგაში ელეტა სიამეს ხედავდა, თავის თავისაგან მოსდიოდა და არა იმათგან. ის საყვარლებს კი არა, თავის თავსა ჭვარობდა. თავისი ტანის ტრფიალი იყო და თავისივე თავის სურვილი, გულისთქმა და ლაქუტი.

ამიტომ, მგონია, იმისი ხორციელი ცოდო მეტის მეტად მძიმე უნდა ეოფილიყო. რადგანაც, თუმცა ეს ცოდო გვაშორებს დმერთსა, მაგრამ უზენაესი მსაჯული საქაო და საიქიო ცხოვრებაში მაინც ისეთის რისხვის თვალით არ უყურებს ხორცთმოყვარეთ როგორც ძვირთა, კამეეთა, კაცის მკვლელთა, და ბოროტთა, სიწმინდის მოვაჭრეთა; იმიტომ რომ ავხორცთა ბიწიერი სურვილი სხვისგან არის გამოწვეული და არა თვით მათგან და ცხადჭეოფს მათს გულში დაშთომილს ჭეშმარიტს სიყვარულსა ღმოწყალებას, მხოლოდ შებღალულს.

ელეტას მრუშობაში არაფერი ამისთანა არა სჩანდა რა. აშიკობაში იმას თავის მეტი არავინ უყვარდა, და ამიტომ უფრო დაშორებული იყო დმერთზე, ვინემც ეგოდენი სხვა ქალები, რომელთაც თავიანთ გულის ნდომას ვერ გაუძღეს. ხოლო მათი გულის ნდომა სხვისგან იყო, ელეტასი კი თავისივე თავისაგან. ამას იმისათვის მოგახსენებ, რომ ამბის შემდეგი უკეთ შეიგნოთ.

ოცის წლისა იყო ელეტა, რომ ავად გახდა და იგრძნო რომ სიკვდილმა უწია. მაშინ გულმდუდარედ მოიტირა თავისი დამაზი ტანი, მოახდეებს ძვირფასის ტანისამოსით მოაკაზმინა, სარკეში ჩაიხედა და ორივე ხელი მკერდსა და თეძოებზედ მოისვა, რომ თავისივე სიტურფით უკანასკნელად დამტკბარიყო. და რადგანაც არ უნდოდა რომ მისი სათაყვანო ტანი ცივ მიწაში ჭიადუის კერძად გამხდარიყო, სულთ-მებრძოლმა დიდის სარწმუნოებითა და სასოებით ამოიოხრა და სთქვა:

— სატანა, საყვარელო სატანავ, წაიდე ჩემი სული და ტანი. სატანა, ჩემო ტკბილო სატანავ, ისმინე ჩემი ვედრება: ჩემი ტანი ჩემს სულთან ერთად წაიდე.

მიცვალებული წმ. ზენონეს ეკლესიაში მიასვენეს, ჩვეულებისაებს ბირახდილი, და არც ერთს ხორციელს თავის დღეში არ ენახა ასეთი შვენიერი მკვდარი. სანამ მღვდლები ანდერძს უკეთებდნენ, ისე იწვა თითქო უხილავის საყვარლის ხელში ეშხით მიბნედილაო. წირვის შემდეგ კუბო დაბეჭდეს და მიწას მიაბარეს სხვა საფლავებს შორის წმ. ზენონეს ეკლესიის კალავნში. მაგრამ მეორე დღეს ელეტას საფლავი ამოთხრილი ნახეს და კუბო გახსნილი და ცარიელი.

ალ. სარაჯიშვილის ნათარგმნი.

უკანასკნელი ამბები

ორშაბათს, 24 თებერვალს, საღამოს 8 საათზე თავ.-აზნაურთა დეპუტატების საკრებულოში (ბელინსკის ქუჩა, № 2) მოხდება საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრების ჩვეულებრივი საზოგადო კრება, რომელზედაც წაიკითხავენ რეფერატებს: დეკანოზი კ. კეკელიძე საილიტურგიკო მოღვაწეობა ანტონ I კათოლიკოსისა, ლ. მელიქსეტ-ბეგოვი — „სომეხთა მოქცევის", ქართული თარგმანი მე-VI საუკუნეში და იუსტ. ირ. აბულაძე ვეფხვის-ტყაოსანი. ჩვენს საგანძურებში არსებულ ხელნაწერების მიხედვით. ამასთანავე იქნება ახალი წევრების არჩევნებიც.

კრებას გარეშეებსაც შეუძლიანთ დაესწრონ.

— —

ახალი წიგნები

გამოვიდა და იყიდება „საქართველოს ცხოვრება 1469—1800-მდე ბატონიშვილი ვახუშტისა. წიგნს დართული აქვს ოცდა-თორმეტი სურათი მეფეებისა და სხვა გამოჩენილ ძველ ქართველთა. ორიოდე სურათის გარდა ყველა პირველად იბეჭდება. მეორე წიგნი ქართველ მაჰმადიანთ შეეხება და ძვირფასი საჩუქარია იგი მათთვის: გამოცემა ეკუთნის ჩვენს დაუღალავს გამომცემელს და მოღვაწეს ზ. ჭიჭინაძეს.

— —

ორი საერო თქმულება. ს. მირიანაშვილმა

გამოსცა აბესალომ და ეთერის და როსტომის ლექსები. ამას წინად კიდევ მანვე გამოსცა ამირანის ლექსები შ. ქიქოძის მიერ დასურათებული. მადლობის ღირსია ბ. მირიანაშვილი ამ სასარგებლო შრომისათვის; დრო არის შეგროვდეს და გამოიცეს ჩვენი ძველი საერო თქმულებანი.

——

რედაქციას მოუვიდა ახალი თხზულება ბ. სიმონ ქვარიანისა — „შოთა რუსთაველი და მისი პოემა". წიგნი სუფთად არის გამოცემული და ღირს მხოლოდ ექვსი შაური. მივაქცევთ მკითხველ საზოგადოების ყურადღებას, რადგანაც წიგნში სრულიად ახალი შეხედულებაა გამოთქმული შოთა რუსთაველისა და მის თხზულებაზედ დაწვრილებით განხილვას წიგნისას შემდეგ ნომერში შეუდგებით.

რედაქციისაგან

ვისაც ჟურნალი არ მისდის უმორჩილესად ვთხოვთ დაუყოვნებლივ აცნობონ რედაქციას ზომების მისაღებად.

რედაქტორ-გამომცემელი

რ. გაბაშვილი.

1894 წლიდან 1914 წლამდის

საუკეთესო ღვინოდ ითვლება ღვინო

საზოგადოება „კახეთი"-სა

ტელეფონი: № 73 და 3—51.

თბილისი: გოგოლის ქუჩა 63 და ერევნის მოედანი.

განყოფილებანი: ბაქოში, ასხაბადში, ტაშკენთში, მოსკოვში, ბათომში, რასტოვში და სხ.

ელექტრო-მბეჭდავი სტამბა ს. ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქუჩა 5.